



ტუბერკულოზის, აივ ინფექცია/შიდსის, C ჰეპატიტის  
სკრინინგის ინტეგრირება პირველად ჯანდაცვაში და  
პარტნიორობის განვითარება დაავადებათა ადრეული  
გამოვლენისთვის კ ა ხ ე თ ი ს რ ე გ ი ო ნ შ ი

---

დაფინანსებულია გლობალური ფონდის მიერ „ტუბერკულოზის ყველა ფორმის  
ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის  
მდგრადობის უზრუნველყოფა“ პროგრამის ფარგლებში

კომპანია „საოჯახო მედიცინის ეროვნულ სასწავლო ცენტრის“

**ა ნ გ ა რ ი შ ი**

25 ივნისი - 24 ივლისი, 2019

---

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #GF-T/ET/S-665

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და  
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს“

---

## 1. პრობლემის აღწერა

უკანასკნელ წლებში მიღწეული არსებითი გაუმჯობესების მიუხედავად საქართველოში კვლავაც მაღალი რჩება ტუბერკულოზით, აივ ინფექცია შიდსითა და C ჰეპატიტით გამოწვეული ტვირთი. 2016 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიები განსაზღვრავს იმ ამოცანებსა და დეტალურ ღონისძიებებს, რაც სამივე მიმართულებით უნდა განხორციელდეს, რათა მიღწეულ იქნას დაავადებათა კონტროლის ამოცანები და ქვეყანამ შეძლოს ელიმინაციის სამიზნეების მიღწევა გრძელვადიან პერსპექტივაში. სტრატეგიული გეგმების შესაბამისად, სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, აივ/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (შემდგომში გლობალური ფონდი) ხელშეწყობით, უწყვეტად ხორციელდება ამ დაავადებებზე ეპიდზედამხედველობის, კონტროლის, პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს უნივერსალურ ხელმისაწვდომობას შესაბამის მომსახურებებზე, მაღალი რისკის ჯგუფებისა და ზოგადად მოსახლეობისთვის. აღნიშნული დაავადებების ქვეყანაში გავრცელების ანალიზი მიუთითებს, რომ სამივე დაავადების პრევალენტობა, ქვეყნის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს რეგიონებში.

აივ/შიდსის, ტუბერკულოზისა და C ჰეპატიტის სერვისების ინტეგრაცია პირველადი ჯანდაცვის ქსელში ეფექტიანობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით, საყოველთაოდ აღიარებული სტრატეგიაა, რომელიც პაციენტს საშუალებას აძლევს „ერთი-ფანჯრის“ პრინციპით მიიღოს ყველა საჭირო მომსახურება. ამ გზით შესაძლებელია სამივე მიმართულებით შემთხვევების მეტად აქტიური გამოვლენა და ასევე, მკურნალობაზე დამყოლობის გაუმჯობესება.

## 2. პროექტის მიზანი და ამოცანები

პროექტის მიზანია ტუბერკულოზის, აივ/ინფექცია შიდსის, C ჰეპატიტის (TB/HIV/HCV) სკრინინგისა და დროული გამოვლენის შესაძლებლობების განვითარება პირველადი ჯანდაცვის (პჯდ) რგოლში, ასევე, ამ მიზნით ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო/კერძო პარტნიორების მობილიზება და ამ დაავადებათა მართვის ჰორიზონტალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.

**ამ მიზნის მისაღწევად განხორციელდება შემდეგი ამოცანები:**

1. სახელმწიფო და კერძო პარტნიორების მობილიზება პროგრამის მხარდასუქერად, მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლება TB/HIV/HCV დაავადებების შესახებ

- პროგრამის თაობაზე ადგილობრივი ხელისუფლების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების, დაინტერესებული არასამთავრობო/სათემო ორგანიზაციების, პირველადი ჯანდაცვის სერვისების მომწოდებლების, მათ შორის კერძო ქსელური დაწესებულებების ინფორმირებისა და მათ შორის თანამშრომლობის გაძლიერება:
  - შეხვედრების ორგანიზება დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით;
  - პროგრამის თაობაზე საინფორმაციო მასალების მომზადება და ბეჭდვა;
  - თანამშრომლობის/პარტნიორობის თაობაზე მემორანდუმების გაფორმების ხელშეწყობა. მემორანდუმით განისაზღვრება პროგრამის განხორციელებაში პარტნიორების როლი და მოხდება პროგრამაში ჩართული პერსონალის იდენტიფიცირება.
- პაციენტთა საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების შემუშავება/გამრავლება
- რაიონში თითო, ასევე რეგიონის დონეზე მინიმუმ ერთი საინფორმაციო საგანმანათლებლო კამპანიის ორგანიზება
- საუკეთესო პრაქტიკის, პარტნიორის გამოვლენა და კამპანიაში ჩართვა

2. პირველადი ჯანდაცვის დონეზე ტუბერკულოზის, აივ ინფექცია/შიდსისა და C ჰეპატიტის სკრინინგის სერვისების ინტეგრირება დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და ეფექტური რეფერალის უზრუნველყოფის მიზნით.

- ტრენინგების განხორციელება, სკრინინგის ინტეგრირებული მოდელის დანერგვის ზედამხედველობა, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით დამატებითი ტრენინგების უზრუნველყოფა, ინფორმაციის მიწოდება სამიზნე დაავადებათა გამოვლენისა და მართვის სხვადასხვა ასპექტზე;
- სკრინინგის საბაზისო და სამიზნე მონაცემების განსაზღვრა;
- პროგრამაში ჩართული სერვისის მომწოდებელთა ცოდნისა საწყისი და საბოლოო შეფასება კითხვარის მეშვეობით.
- შესაბამის ელექტრონულ მოდეულებში (help C სკრინინგის მოდული, შემუშავება/დანერგვის ეტაპზეა HIV და TB ელექტრონული მოდეულები, რომლებიც პოტენციურად შესაძლებელია გამოყენებული იყოს პჯდ დონეზე) მონაცემთა შეტანის და მონაცემთა ხარისხის პერიოდული მონიტორინგი

3. TB/HIV/HCV სკრინინგის და ამ დაავადებათა ადრეული გამოვლენის მიზნით ადგილობრივ დონეზე სკრინინგის სერვისების ჰორიზონტალური კოორდინაციის მექანიზმების შექმნა

- პირველადი ჯანდაცვის პროვაიდერების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის წარმომადგენლების, არასამთავრობო ორგანიზაციების და თემის წარმომადგენლების ჩართულობის უზრუნველყოფა TB/HIV/HCV დაავადებათა გამოვლენის საკითხებში, ამ მიზნით მოკლევადიანი მულტიდისციპლინული ტრენინგების ორგანიზება თითოეულ რაიონში

- თითოეულ რაიონში მულტიდისციპლინარული ჯგუფების წარმომადგენლებისგან TB/HIV/HCV სკრინინგის სერვისების ხარისხის მონიტორინგის ჯგუფების ფორმირება, ფუნქციებისა და როლების გაწერა, სერვისების მომწოდებლებთან კომუნიკაციის მატრიცის შემუშავება
- ჯგუფების რეგულარული შეხვედრების მხარდაჭერა რაიონის დონეზე
- კვარტალური რეგიონული შეხვედრების ორგანიზება
- ანგარიშების წარმოება.

#### 4. პროგრამის მონიტორინგი და შეფასება

- პროგრამის მონიტორინგის გეგმის შემუშავება და განხორციელება;
- პროგრამის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება და შეფასების განხორციელება;
- შეხვედრის ორგანიზება ძირითადი პრტნიორების მონაწილეობით და შედეგების დისემინაცია;
- პროგრამაში ჩართული სერვისის მომწოდებელთა ცოდნისა და დამოკიდებულების საბოლოო შეფასება კითხვარის მეშვეობით.

პროექტის ლოგიკური ჩარჩო ემყარება დაშვებებს, რომ სამივე დაავადების მიმართულებით მოსახლეობის ცოდნის გაუმჯობესების, სამედიცინო პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერების, უახლეს მეცნიერულად დასაბუთებულ საგანმანათლებლო რესურსებთან ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის, ადგილებზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების მხარდაჭერის მოპოვების გზით, შესაძლებელი იქნება პირველადი ჯანდაცვის მიმწოდებლების პოტენციალის სრულად გამოყენება აივ/შიდსის, ტუბერკულოზისა და C ჰეპატიტის დროული გამოვლენისა და ეფექტური მართვისთვის.

### 3. პროგრამის მიერ განხორციელებული მეორე ეტაპის ღონისძიებები

პროექტის ამოცანების შესრულების მიზნით ცენტრმა, განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

**პირველადი ჯანდაცვის დონეზე TB/HIV/HCV სკრინინგის სერვისების ინტეგრირებისა და დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და ეფექტური რეფერალის უზრუნველყოფის მიზნით:**

- განხორციელდა 2 დღიანი ტრენინგები პირველად ჯანდაცვაში დასამქებული პერსონალისათვის TB/HIV/HCV დაავადებათა გამოვლენის საკითხებში (დანართი #1), მცხეთა-მთიანეთსა და კახეთის რეგიონებში.
- ტრენინგის სასწავლო გეგმა დაეფუძნა პროექტის ფარგლებში გადახედილ „პჯდ დონეზე TB/HIV/HCV სკრინინგის ინტეგრირებული მართვის

პროტოკოლს“, რომელიც მომზადდა პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების როლისა და ფუნქციების, ასევე სამედიცინო პერსონალის კომპეტენციის ჩარჩოების გათვალისწინებით;

- სასწავლო პროგრამა „აივ/შიდსის, ტუბერკულოზისა და C ჰეპატიტის სერვისების ინტეგრაცია პირველადი ჯანდაცვის ქსელში“ აკრედიტებულია საქართველოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უწყვეტი პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ 2019 წლის 17 აპრილს # 0063 და მინიჭებული აქვს 12 კრედიტ-ქულა.
- სასწავლო მასალები და TB/HIV/HCV სკრინინგის ინტეგრირებული მართვის პროტოკოლი“ დაიბეჭდა და დაურიგდა ტრენინგის ყველა მონაწილეს;
- პროექტის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო 503-მმა ექიმმა და ექთანმა. ტრენინგები ჩატარდა 2019 წლის ივლისში;
- ტრენინგების ჩატარების ადგილად, მსმენელთა სურვილის გათვალისწინებით, განისაზღვრა კახეთის რეგიონის ქალაქები:

#### ინტეგრირებული სკრინინგის ჩატარების გრაფიკი

#	რაიონი	ჯგუფების რ-ბა	თარიღი
1	დედოფლისწყარო	2	1-2 ივლისი
2			1-2 ივლისი
3	თელავი	3	3-4 ივლისი
4			3-4 ივლისი
5			5-6 ივლისი
6	გურჯაანი	3	5-6 ივლისი
7			8-9 ივლისი
8			8-9 ივლისი
9	სიღნაღი	2	10-11 ივლისი
10			10-11 ივლისი
11	საგარეჯო	2	12-13 ივლისი
12			12-13 ივლისი
13	ახმეტა	2	15-16 ივლისი
14			15-16 ივლისი
15	ლაგოდეხი	3	17-18 ივლისი
16			17-18 ივლისი
17			19-20 ივლისი
18	ყვარელი	2	19-20 ივლისი
19			19-20 ივლისი
	<b>სულ</b>	<b>19</b>	

- ჩატარდა საინფორმაციო/ საგანმანათლებლო კამპანია. რეგიონული შეხვედრების და ტრენინგების გაშუქება მოხდა ბეჭდული და ელექტრონული მედიის

(მ.შ.ტელევიზიის) საშუალებებით. სადემონსტრაციო მასალები წარმოდგენილია ელექტრონულ მატარებლებზე.

["https://www.facebook.com/plugins/post.php?href=https%3A%2F%2Fwww.facebook.com%2Fpermalink.php%3Fstory\\_fbid%3D346389712665740%26id%3D100018841421412&width=500"](https://www.facebook.com/plugins/post.php?href=https%3A%2F%2Fwww.facebook.com%2Fpermalink.php%3Fstory_fbid%3D346389712665740%26id%3D100018841421412&width=500)

- შემუშავდა მონიტორინგისა და შეფასების გეგმა, რომელიც მოიცავს მიზნებსა და ამოცანებს, პროცესების ორგანიზაციულ უზურვეყოფას, საინფორმაციო ნაკადებს ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამის ფარგლებში, ასევე, პასუხისმგებლობების განაწილებას პროექტში ჩართულ მონაწილეებს შორის; პროექტის მიმდინარეობის შეფასების ინდიკატორებს, მონაცემთა წყაროებს და სხვა დეტალებს (დანართი #2).
- ტრენინგების შესახებ ანგარიშები გაიგზავნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოში (დანართი #3)
- დაიწყო მონიტორინგის ვიზიტების განხორციელება ყველა რაიონული დონის დაწესებულებასა და 2-2 სოფლის ამბულატორიაში თითოეულ რაიონში, რომლის დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება შემდგომ ეტაპზე.

ანგარიშს თან ერთვის 3 დანართი, სადაც იხილავთ დეტალურ ინფორმაციას.

მტკიცებულებები პროგრამის მიმდინარეობის მე-2 ფაზის ღონისძიებების შესახებ წარმოდგენილია ელექტრონული ფორმატით (DVD დისკზე).



სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს“

**ტრენინგი პირველად ჯანდაცვაში აივ/შიდსის,  
ტუბერკულოზისა და C ჰეპატიტის ინტეგრირებული  
მართვის თაობაზე**

კომპანია „საოჯახო მედიცინის ეროვნულ სასწავლო ცენტრის“

**ა ნ გ ა რ ი შ ი**

ივნისი-ივლისი, 2019

---

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #GF-T/ET/S-665

## 1. პასუხისმგებლობა

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #GF-T/ET/S-665 კომპანია „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“ განახორციელა 503 ადამიანის ტრენინგი „პირველად ჯანდაცვაში აივ ინფექცია/შიდსის, C ჰეპატიტის სკრინინგის ინტეგრირებული მართვის თაობაზე“ - პროექტის „ტუბერკულოზის, აივ ინფექცია/შიდსის, C ჰეპატიტის სკრინინგის ინტეგრირება პირველად ჯანდაცვაში და პარტნიორობის განვითარება დაავადებათა ადრეული გამოვლენისთვის კახეთსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში“ ფარგლებში (დაფინანსებულია გლობალური ფონდის მიერ „ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფა“ პროგრამის ფარგლებში).

შედეგები განხილულია კომპანიის მიერ და წარდგენილია სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში“ დასამტკიცებლად.

## 2. აღიარება

კომპანია „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“ მადლიერებას გამოხატავს სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ გუნდის მიმართ, გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისათვის.

## 3. ძირითადი მიღწევები

პროექტის გეგმის შესაბამისად, ტრენინგის ორგანიზებისათვის მუშაობა დაიწყო ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე. პროექტის განმახორციელებელმა გუნდმა სრულად და წარმატებით შესძლო პროექტის ყველა ამოცანის განხორციელება:

- ტრენინგის სასწავლო გეგმა დაეფუძნა პროექტის ფარგლებში გადახედილ „პჯდ დონეზე TB/HIV/HCV სკრინინგის ინტეგრირებული მართვის პროტოკოლს“, რომელიც მომზადდა პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების როლისა და ფუნქციების, ასევე სამედიცინო პერსონალის კომპეტენციის ჩარჩოების გათვალისწინებით;
- პროექტის კონსულტანტების მიერ შემუშავდა ტრენინგის სასწავლო გეგმა „პირველად ჯანდაცვაში აივ ინფექცია/შიდსის, C ჰეპატიტის სკრინინგის ინტეგრირებული მართვის თაობაზე“;
- სასწავლო მასალები წარდგენილი, განხილული და დამტკიცებული იქნა კომპანიის (ელექტრონული, ასევე, ქაღალდის ვერსიები) კომპანიის გუნდის/ტექნიკურ მრჩეველის აქტიური მონაწილეობით;



- d. სასწავლო პროგრამა „აივ/შიდსის, ტუბერკულოზისა და C ჰეპატიტის სერვისების ინტეგრაცია პირველადი ჯანდაცვის ქსელში“ აკრედიტებულია საქართველოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უწყვეტი პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ 2019 წლის 17 აპრილს # 0063 და მინიჭებული აქვს 12 კრედიტ-ქულა.
- e. სასწავლო მასალები და TB/HIV/HCV სკრინინგის ინტეგრირებული მართვის პროტოკოლი“ დაიბეჭდა და დაურიგდა ტრენინგის ყველა მონაწილეს;
- f. პროექტის კონსულტანტების მიერ შემუშავდა კურსის ევალუაციის მეთოდოლოგია, რომელიც ამ ეტაპისთვის მოიცავდა მსმენელთა ცოდნის შეფასებას;
- g. კახეთის რეგიონში ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 437 ექიმმა და ექთანმა, ხოლო მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 66 ექიმმა და ექთანმა), სულ, პროექტის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო 503-მმა მსმენელმა. ტრენინგები ჩატარდა 2019 წლის ივლისში;
- h. ტრენინგების ჩატარების ადგილად, მსმენელთა სურვილის გათვალისწინებით, განისაზღვრა შერჩეული რეგიონების ქალაქები: მცხეთა, საგარეჯო, სიღნაღი, გურჯაანი, დედოფლისწყარო, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, ყვარელი.

## 4. პროგრამის განხორციელება

### 4.1 სამიზნე ჯგუფი:

ტრენინგების მთავარი ამოცანაა ინტეგრირებული სკრინინგის პროტოკოლის პრაქტიკაში დანერგვა იმდენად ინტენსიურად, რომ ერთი წლის განმავლობაში სრულად მოვიცვათ დასავლეთ საქართველოს შერჩეული რეგიონების 18+ ასაკის მოსახლეობა.

პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმები შემუშავებული იქნა პროექტის განმახორციელებელი გუნდის მიერ, საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის, დაავადებათა კონტროლისა და ჯანდაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციების გათვალისწინებით.

### 4.2 სასწავლო კურსის ორგანიზება:

**მასწავლებელთა სია, რომელთაც განახორციელეს ტრენინგები „პირველადი ჯანდაცვაში აივ/შიდსის, ტუბერკულოზისა და C ჰეპატიტის ინტეგრირებული მართვის თაობაზე“**

1. ეთერ ჯაჯანიძე - ოჯახის ექიმი, მასწავლებელი
2. ნათელა ჯაჯანიძე - ოჯახის ექიმი, მასწავლებელი

3. ნანა გუდავაძე - ოჯახის ექიმი, მასწავლებელი

**ტრენინგები ჩატარდა 2019 წლის ივლისში:**

**სასწავლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები:**

- a) სასწავლო მოდულისა და მასალების შემუშავება;
- b) ტრენინგის პროგრამის დეტალური გრაფიკის შედგენა ისე, რომ მსმენელებისათვის ყოფილიყო მისაღები. ტრენინგები ჩატარდა 1-21 ივლისს.
- c) პროგრამის ტრენერებმა გაიარეს საორიენტაციო მზადება პროექტის კონსულტანტების აქტიური მონაწილეობით.
- d) ტრენინგები ჩატარდა პროექტის მიერ წინასაკონსულტაციო ეტაპზე შერჩეული ტრენერების მიერ.
- e) ტრენინგის მონაწილეებს შორის წინასწარ გავავრცელეთ ინფორმაცია ელექტრონული მოდულის შესახებ, რომლის მისამართია [www.nfmtc.ge](http://www.nfmtc.ge).
- f) კურსის მონაწილეთ მიეწოდა ინფორმაცია ელექტრონული ვებმოდულის შესახებ. მოდულში ინტეგრირებულია გამოყენების წესები. სერთიფიკატის მისაღებად საჭირო რეგისტრაციის დეტალები და ყველა მოდული, შესაბამისად პრეტესტი და პოსტ ტესტი. პორტალზე განლაგებულია, ასევე, ძალიან საინტერესო ვიდეო მასალები - პრე და პოსტკონსულტირებაზე, სკრინინგის ტექნიკასა და ა.შ.
- g) ტრენინგები ჩატარდა ინტერაქტიურ რეჟიმში.
- h) მსმენელთა დასწრება იყო მაღალი;
- i) მსმენელებს დაურიგდათ სასწავლო მასალები, TB/HIV/HCV სკრინინგის ინტეგრირებული მართვის პროტოკოლები, საკანცელარიო და სხვა საჭირო დამხმარე საშუალებები.
- j) სასწავლო პროცესები უზრუნველყოფილი იყო საკვებით.
- k) კურსის დასრულების ბოლოს გაიცემა სასწავლო მოდულის გავლის დამადასტურებელი მოწმობები.

## 5. სასწავლო კურსის ევალუაცია

### 5.1. სასწავლო ამოცანების შესრულება:

აღნიშნული შეფასება განხორციელდა კურსის დაწყებისას და სასწავლო მოდულის დასრულების შემდეგ. შეფასებისათვის შემუშავებულ იქნა მარტივი ტიპის მრავალ-არჩევანიანი ტესტი, რომელიც მოიცავდა 15-15 შეკითხვას.

შედეგები წარმოდგენილია #3 დანართში.

ნიშნების შესაბამისი რანჟირებისთვის გამოყენებული იქნა შემდეგი სტანდარტები:

ნიშნები (არასწორი პასუხების შედეგები) მსმენელთა ცოდნა	>8 (53%)	6-8 (40-53%)	5-3 (33-20%)	1-2 (13%)	0
	ძალიან ცუდი	ცუდი	დამაკმაყოფილებელი	კარგი	ძალიან კარგი
	VB	B	S	G	VG
	Very Bad	Bad	Satisfactory	Good	Very Good

შეფასების შედეგების ანალიზით გამოვლინდა შემდეგი:

- მსმენელთა კომპეტენციები სპეციფიურ საკითხებზე დისკუსიის შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რაც გამოიხატა პრე- და პოსტ- ტესტების რეზულტატის დადებითი დინამიკით, რაც ნათლად ადასტურებს, რომ სასწავლო პროგრამის ამოცანები წარმატებით იქნა მიღწეული.
- ცხრილი 1 გვიჩვენებს თუ როგორ შეიცვალა მსმენელთა შედეგება პრე- და პოსტ ტესტირების დროს:

ცხრილი 1

პროგრესი Pre/post testing	N	%
ცუდი ო ძალიან კარგი	32	6.4%
დამაკმაყოფილებელი ო ძალიან კარგი	142	28%
დამაკმაყოფილებელი ო კარგი	11	2.2%
ცუდი ო კარგი	7	1.4%
კარგი ო ძალიან კარგი	225	44.7%
ძალიან ცუდი ო კარგი	1	0.2%

ძალიან ცუდი $\varnothing$ ძალიან კარგი	1	0.2%
კარგი $\varnothing$ კარგი	5	1%
დამაკმაყოფილებელი $\varnothing$ დამაკმაყოფილებელი	1	0.2%
ძალიან კარგი $\varnothing$ ძალიან კარგი	78	15.5%
<b>ToTal</b>	503	100%

შედეგების ანალიზმა გვიჩვენა შემდეგი:

- მსმენელთა 100% გამოვლინა ძალიან მაღალი სტანდარტი პოსტ ტესტირებისას;
- შემთხვევათა 16.7% -ში პრე და პოსტ ტესტირებისას სტანდარტი არ შეცვლილა;
- მსმენელთა 61.2% გამოავლინეს პროგრამის დაწყებამდე ცოდნის მაღალი სტანდარტები მ.შ. 15.5% ძალიან კარგი, ხოლო 45.7% - კარგი სტანდარტი.
- მსმენელთა 83.3%-მა გამოავლინა უფრო მაღალი სტანდარტი პოსტ-ტესტირებისას; მ.შ. მსმენელთა 44.7% შედეგები გააუმჯობესეს „კარგიდან“ „ძალიან კარგამდე“, 28% „დამაკმაყოფილებლიდან“ „ძალიან კარგამდე“ და ა.შ.

წარმოდგენილი შედეგები ნათლად ადასტურებს ტრენინგის დადებით ზეგავლენას მსმენელთა ცოდნაზე.

#### 6. დასკვნა და რეკომენდაციები:

სასწავლო კურსის ბოლოს ჩატარდა მსმენელთა კმაყოფილების შეფასება, რაც იყო ძალიან მაღალი.

ევალუაციის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

- a) სასწავლო პროგრამის განხორციელებამ დადებითი ზეგავლენა მოახდინა მსმენელთა ცოდნაზე TB/HIV/HCV სკრინინგის ინტეგრირებული მართვის საკითხებში;
- b) დასწრება, ინტერესი და სწავლის სურვილი იყო ძალიან მაღალი და აშკარად, მისასალმებელი.
- c) იმისათვის, რომ შეფასდეს ტრენინგის დადებითი ზეგავლენა პროფესიონალთა ყოველდღიურ პრაქტიკაში, შემუშავებულია სკრინინგის მონიტორინგის გეგმა, რისი მიხედვითაც მოხდება აქტინიშნული აქტივობების შეფასება.

## ○ დანართი #2



საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი

---

ტუბერკულოზის, აივ ინფექცია/შიდსის, C ჰეპატიტის სკრინინგის  
ინტეგრირება პირველად ჯანდაცვაში და პარტნიორობის  
განვითარება დაავადებათა ადრეული გამოვლენისთვის კახეთის  
რეგიონში

---

მონიტორინგის და შეფასების გეგმა

---

## შინაარსი

---

მონიტორინგის და შეფასების გეგმა .....	29
შინაარსი .....	30
შესავალი .....	31
მონიტორინგისა და შეფასების გეგმის მიზანი .....	31
მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ორგანიზაციული უზრუნველყოფა.....	32
ინდიკატორები .....	34
მონაცემთა წყაროები.....	36
ინტეგრირებული სკრინინგის მოდელის შეფასება.....	<b>Error! Bookmark not defined.</b>
დანართი 1. პროცესის ინდიკატორები.....	37
დანართი #2 ინტეგრირებული სკრინინგის მოდელის შეფასების ინსტრუმენტი .....	<b>Error! Bookmark not defined.</b>

## შესავალი

კომპანია „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან და საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირთან თანამშრომლობით, ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია ტუბერკულოზის, აივ/ინფექცია შიდსის, C ჰეპატიტის (TB/HIV/HCV) სკრინინგისა და დროული გამოვლენის შესაძლებლობების განვითარება დასავლეთ საქართველოს შერჩეულ რეგიონებში პირველადი ჯანდაცვის (პჯდ) რგოლში, ასევე, ამ მიზნით ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო/კერძო პარტნიორების მობილიზება და ამ დაავადებათა მართვის ჰორიზონტალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.

**პროექტის ფარგლებში ტუბერკულოზის, აივ/ინფექცია/შიდსის, C ჰეპატიტის (TB/HIV/HCV) სკრინინგისა და დროული გამოვლენის შესაძლებლობების განვითარების მიზნით, პირველადი ჯანდაცვის (პჯდ) რგოლში გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:**

1. მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლება, აივ/შიდსის, ტუბერკულოზისა და C ჰეპატიტის შესახებ საგანმანათლებლო კამპანიისა და პროგრამის მხარდასაჭერად, სახელმწიფო და კერძო პარტნიორების მობილიზების საშუალებით;
2. პირველადი ჯანდაცვის დონეზე ტუბერკულოზის, აივ ინფექცია/შიდსისა და C ჰეპატიტის სკრინინგის სერვისების ინტეგრირებული მოდელის შემუშავება, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და ეფექტური რეფერალის უზრუნველყოფის მიზნით;
3. აივ/შიდსის, ტუბერკულოზისა და C ჰეპატიტის სკრინინგის და ამ დაავადებათა ადრეული გამოვლენის მიზნით, ადგილობრივ დონეზე, სკრინინგის სერვისების ჰორიზონტალური კოორდინაციის მექანიზმების შექმნა;
4. პროგრამის შეფასება და რეკომენდაციების მომზადება პროგრამის შემდგომი გაფართოებისთვის.

## მონიტორინგისა და შეფასების გეგმის მიზანი

წინამდებარე გეგმის მიზანია დასავლეთ საქართველოს შერჩეულ რეგიონებში ტუბერკულოზის, აივ/ინფექცია შიდსის, C ჰეპატიტის (TB/HIV/HCV) ინტეგრირებული სკრინინგის მოდელის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის, სამოქმედო ჩარჩოს განსაზღვრა. გეგმა განსაზღვრავს მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს შემდეგ ძირითად კომპონენტებს:


1. ორგანიზაციული სტრუქტურა და პროგრამის მონიტორინგისა და შეფასებაზე პასუხისმგებლობების განაწილება
2. მონიტორინგისა და შეფასების ინდიკატორები, მონაცემთა წყაროები, შეგროვების პერიოდულობა

3. მონაცემების შეგროვება, დამუშავება, ანალიზი და ანგარიშგება
4. მონაცემთა ხარისხის უზრუნველყოფა
5. მონიტორინგისა და შეფასების შედეგების დისემინაცია

## მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

ინტეგრირებული სკრინინგის მოდელის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ორგანიზაციული ჩარჩო, პასუხისმგებლობების მითითებით, წარმოდგენილია ცხრილში #1. #1 სქემაზე აღწერილია საინფორმაციო ნაკადები პირველადი ჯანდაცვიდან ნაციონალურ დონემდე. პირველადი ჯანდაცვის მიმწოდებლებს აქვთ წვდომა STOP C მოდულთან, რაც წარმოადგენს ძირითად წყაროს C ჰეპატიტსა და აივ/შიდსთან დაკავშირებული ინდიკატორებისთვის. ვინაიდან, ჯერ ჯერობით არ ფუნქციონირებს ტუბერკულოზის ერთიანი ელექტრონული ბაზა, რომელთანაც წვდომა ექნებოდათ ოჯახის ექიმებს და ასევე, ფთიზიატრებს, რეფერირებული ტბ სავარაუდო შემთხვევების შესახებ ინფორმაციას, ოჯახის ექიმები დააფიქსირებენ „სავარაუდო შემთხვევების რეესტრში/ჟურნალში.“ თვეში ერთხელ აღნიშნული ინფორმაცია (ინდივიდუალური პაციენტების დეტალებით) გადაეცემა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ სამსახურს. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახური, ასევე, მოიპოვებს ინფორმაცია ფტიზიატრიული სამსახურიდან, პჯდ-დან რეფერირებულ სავარაუდო შემთხვევებში ტბ დიაგნოზის დადასტურების და პაციენტის მკურნალობაში ჩართვის თაობაზე. ამ ინფორმაციას, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის წარმომადგენელი, გადასცემს დაავადებათა კონტროლის ცენტრის უფლებამოსილ თანამშრომელს, რომელიც უზრუნველყოფს, სამივე მიმართულებით, სკრინინგის პროგრამის შედეგების ინტეგრირებულ ანალიზს.





სქემა 1. საინფორმაციო ნაკადები ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამის ფარგლებში

ცხრილი 1. ინტეგრირებული სკრინინგის მოდელის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების პასუხისმგებლობების განაწილება პროცესში ჩართულ მხარეებს შორის

დონე	ორგანიზაცია/ სტრუქტურული ერთეული	როლი/ფუნქციები
ნაციონალური	დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი	წვდომა STOP C- C ჰეპატიტისა და შიდსზე სკრინინგის ეროვნულ ბაზებთან დანართი 2-ში აღწერილი ინდიკატორების შესაბამისად. მონაცემების ანალიზი „პროექტის“ (კომპანია „საოჯახო მედიცინის ეროვნული ცენტრის“) თანამშრომლებთან ერთად,
	საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი	დკეც-ის პასუხისმგებელ პირთან ერთად, მონაცემების ანალიზი და ანგარიშების მომზადება, დანართი 1-ის ინდიკატორების და ვადების მიხედვით.

<p><b>რაიონული ხარისხის ჯგუფები</b> (იხილეთ დანართი #3 ჯგუფების ფუნქცია- მოვალეობებისთვის)</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- იღებს ყოველთვიურ ანგარიშს პროექტში მონაწილე სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისგან, მ.შ. ანგარიშებს გამოვლენილი და რეფერირებული ტუბერკულოზზე სავარაუდო შემთხვევების თაობაზე</li> <li>- უზრუნველყოფს ინფორმაციის მოპოვებას იმის თაობაზე თუ რეფერირებული ტბ სავარაუდო შემთხვევიდან რამდენში მოხდა დიაგნოზის დადასტურება და პაციენტის ჩართვა მკურნალობის პროცესში.</li> <li>- აივ-ისა და C ჰეპატიტისთვის უზრუნველყოფს პროტოკოლით განსაზღვრული ანგარიშების, მ.შ. ელპორტალზე მონაცემთა შეყვანის ორგანიზებას, წესების დაცვაზე მონიტორინგს;</li> <li>- სერვისის/აქტივობების ინდივიდუალური შეფასება პროტოკოლით განსაზღვრული აუდიტის კრიტერიუმების შესაბამისად;</li> <li>- მონაცემთა შეგროვება და მასალების ხარჯვაზე მონიტორინგი, დუბლირებების დროს;</li> <li>- აგრეგირებულ მონაცემთა შეგროვება ხარისხის ინდიკატორების შესაბამისად, მიმწოდებლების/რაიონების მიხედვით;</li> <li>- შედეგების კომუნიკაცია და თავისი საქმიანობის/ხარისხის მართვის მონიტორინგის შედეგების ყოველთვიური ანგარიშება მერიის, ჯანდაცვის სისტემის შესაბამის სტრუქტურებთან და პროექტის დირექტორთან.</li> </ul>
--	--

## ინდიკატორები

პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება შეფასდება პროცესის ინდიკატორებით, იხილეთ დანართი 1.

ინტეგრირებული სკრინინგის მოდელის შეფასებისთვის შემუშავებულია შემდეგი ინდიკატორები.

- **სამიზნე მოსახლეობის მოცვა ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამით**
  - პაციენტების რაოდენობა და პროცენტი, რომელთაც ჩაუტარდათ ტესტირება სამივე დაავადებაზე
- **სამიზნე მოსახლეობის მოცვა C ჰეპატიტზე<sup>1</sup> და აივ-შიდსზე ტესტირებით, ასევე ტუბერკულოზის სიმპტომებზე სკრინინგით:**
  - ტესტირებულთა რაოდენობა და % (ტესტირებულთა რაოდენობა/პჯდ დაწესებულების სამიზნე კონტიგენტის რაოდენობასთან, ასაკის და სქესის მიხედვით)
- **სკრინინგით გამოვლენილი დადებითი შემთხვევების რაოდენობა:**
  - C ჰეპატიტის სკრინინგით გამოვლენილი დადებითი შემთხვევების რაოდენობა
  - აივ/შიდსის სკრინინგით გამოვლენილი დადებითი შემთხვევების რაოდენობა
  - ტუბერკულოზზე სიმპტომების სკრინინგით დადგენილი სავარაუდო შემთხვევების რაოდენობა<sup>2</sup>
- **რეფერალი და კავშირები პირველად ჯანდაცვასა და სპეციალიზებულ სამსახურებს შორის:**
  - C ჰეპატიტზე სკრინინგის შედეგად გამოვლენილ დადებით შემთხვევებში დადასტურებული დიაგნოზის პროცენტული მაჩვენებელი
  - C ჰეპატიტზე სკრინინგით დადებითი შემთხვევების მიმართვის პროცენტული მაჩვენებელი სერვის ცენტრებსა და დკსჯე ცენტრის რეგიონულ ლაბორატორიაში, რნმ ტესტირების ჩატარების მიზნით
  - აივ/შიდსზე სკრინინგის შედეგად გამოვლენილ შემთხვევებში დადასტურებული დიაგნოზის პროცენტული მაჩვენებელი

---

1. საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის 2016-2020 წლების ეროვნული სტრატეგია, ამოცანა 4.2. „HCV-ზე ტესტირებული მოზრდილებისა და ბავშვების საერთო რაოდენობა“

<sup>2</sup> იხილეთ ტუბერკულოზის სავარაუდო შემთხვევის მართვის პროტოკოლი დამტკიცებული შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ [www.moh.gov.ge](http://www.moh.gov.ge)

- აივ/შიდსზე სკრინინგით დადებითი შემთხვევების მიმართვის პროცენტული მაჩვენებელი შესაბამისი (ინფექციური) პროფილის დაწესებულებაში დიაგნოზის დადასტურების მიზნით
- ტუბერკულოზის სავარაუდო შემთხვევებში დადასტურებული დიაგნოზის პროცენტული მაჩვენებელი
- ტუბერკულოზის სავარაუდო შემთხვევების პროცენტული მაჩვენებელი, ვინც მიმართა ტუბერკულოზის პროგრამაში მონაწილე დაწესებულებას შემდგომი გამოკვლევებისთვის

## მონაცემთა წყაროები

აივ/შიდსისა და C ჰეპატიტზე ტესტირებულთა და დადასტურებული შემთხვევების თაობაზე მონაცემების მოპოვება მოხდება STOP C ეროვნული ბაზიდან დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული ცენტრის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ, ყოველი თვის 10 რიცხვამდე.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ადგილობრივი სამსახურები მოიპოვებენ და დაავადებათა კონტროლის ცენტრს გადასცემენ ინფორმაციას ტბ სავარაუდო შემთხვევების, რეფერალისა და დადასტურებული შემთხვევების შესახებ.

<b>შერჩეული რეგიონის მოსახლეობა</b>	
<b>ინდიკატორი</b>	
1	<b>მოცვა ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამით</b>
	პაციენტთა რაოდენობა რომელსაც ჩაუტარდა სკრინინგი სამივე დაავადებაზე
	პაციენტთა პროცენტი, რომელსაც ჩაუტარდა სკრინინგი სამივე დაავადებაზე
2	<b>მოცვა ტესტირებით</b>
	<b>პჯდ დაწესებულების სამიზნე კონტიგენტში C ჰეპატიტზე ტესტირებულთა რაოდენობა</b>
	ტესტირებულთა პროცენტული მაჩვენებელი
	<b>პჯდ დაწესებულების სამიზნე კონტიგენტში აივ-ზე ტესტირებულთა რაოდენობა</b>
	ტესტირებულთა პროცენტული მაჩვენებელი
	<b>პჯდ დაწესებულების სამიზნე კონტიგენტში ტბ-ზე სიმპტომებით შეფასებულთა რაოდენობა</b>
	შეფასებულთა პროცენტული მაჩვენებელი სამიზნე პოპულაციაში
3	<b>სკრინინგით გამოვლენილი დადებითი შემთხვევები</b>
	C ჰეპატიტის სკრინინგით გამოვლენილი დადებითი შემთხვევების რაოდენობა
	აივ/შიდსის სკრინინგით გამოვლენილი დადებითი შემთხვევების რაოდენობა
	პირველად ჯანდაცვაში სიმპტომებით სკრინინგის საფუძველზე გამოვლენილი ტუბერკულოზზე სავარაუდო შემთხვევების რაოდენობა
4	<b>რეფერალი და კავშირები პირველად ჯანდაცვასა და სპეციალიზებულ სამსახურებს შორის</b>
#	C ჰეპატიტზე სკრინინგის შედეგად გამოვლენილ დადებით შემთხვევებში დადასტურებული დიაგნოზის რაოდენობა
%	C ჰეპატიტზე სკრინინგის შედეგად გამოვლენილ დადებით შემთხვევებში დადასტურებული დიაგნოზის პროცენტული მაჩვენებელი
#	C ჰეპატიტზე სკრინინგით დადებითი შემთხვევების მიმართვის რაოდენობა სერვის ცენტრებსა და დკსჯე ცენტრის ლაბორატორიაში რნმ ტესტირების ჩატარების მიზნით
%	C ჰეპატიტზე სკრინინგით დადებითი შემთხვევების მიმართვის პროცენტული მაჩვენებელი სერვის ცენტრებსა და დკსჯე ცენტრის ლაბორატორიაში რნმ ტესტირების ჩატარების მიზნით
#	აივ/შიდსზე სკრინინგის შედეგად გამოვლენილ შემთხვევებში დადასტურებული დიაგნოზის რაოდენობა
